საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/244 "5" სექტემბერი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულის საქმეებზე თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 თებერვლის №1/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულის საქმეებზე თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 თებერვლის №1/9 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330–ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულის საქმეებზე, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დადგინდეს თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის შემდეგი წესი:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330–ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, თელავის, მცხეთის, სიღნაღის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთისა და ხაშურის რაიონული, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330–ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ამბროლაურის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ცაგერისა და ხელვაჩაურის რაიონული, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი